

შპს „გოგე და კომპანია“-ს ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შპს „გოგე და კომპანია“-ს სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2022	2021
ამონაგები	შენ.#1	2 665 669	2 291 332
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	შენ.#2	(2 020 680)	(1 695 586)
საერთო მოგება	შენ.#3	644 989	595 746
ადმინისტრაციული ხარჯები	შენ.#4	(92 781)	(43 695)
ძირითადი ხარჯები	შენ.#5	(172 432)	(110 651)
საოპერაციო მოგება		379 776	441 400
არასაოპერაციო შემოსავლები	შენ.#6	23 075	-
არასაოპერაციო ხარჯები	შენ.#7	(94 389)	(748)
მოგება დაბეგვრამდე		308 462	440 652
მოგების გადასახადის ხარჯი		(24 036)	(20 201)
მიმდინარე წლის მოგება	შენ.#8	284 426	420 451
გაუნაწილებელი მოგება წლის		630 124	324 147
დასაწყისში			
ღივიდენდები		(120 526)	(114 474)
კორექტირება		(110 722)	-
გაუნაწილებელი მოგება წლის			
ბოლოს	შენ.#9	683 302	630 124

შპს „გოგე და კომპანია“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2022	2021
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	შენ.#10	317 464	142 664
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	შენ.#11	253 744	161 589
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	შენ.#12	727 041	652 179
სხვა მიმდინარე აქტივები		-	110 718
1 298 2491 067 150			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		2 370 239	678 829
არამატერიალური აქტივები		7 600	-
	შენ.#13	2 377 839	678 829
სულ აქტივები		3 676 088	1 745 979
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	შენ.#14	213 784	171 193
შრომის ანაზღაურება		-	1 000
საგადასახადო ვალდებულება	შენ.#15	39 290	14 324
		253 074	186 517
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	შენ. #16	2 739 712	929 338
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2 739 712	929 338
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	შენ.#17	683 302	630 124
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3 676 088	1 745 979

შპს „გოგე და კომპანია“-ს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	2 122 831	1 859 951
გაწეული ხარჯები	(2 085 611)	(1 854 685)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	137 580	30 725
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	174 800	35 987
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის	142 664	106 677
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის	317 464	142 664
	შენ. #18	

შპს „გოგე და კომპანია“-ში ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის .

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გოგე და კომპანია“ (ს/ნ 412733957) დაფუძნებულია 2018 წელს საქართველოში, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ელექტრონული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და რკინა კაველით, საღებავებით, მინით სპეციალიზებულ მაღაზიებში. დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისილ. ავალიანის ქ.12. კომპანიის დამფუძნებელია:

- გიორგი გოგელიძე (პ/ნ-62005003798) - საქართველოს მოქალაქე

კომპანია ბუღალტრული აღრიცხვისათვის იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 10 კაცს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენება

კომპანია წინა პერიოდებში ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას მეოთხე კატეგორიის სტანდარტის შესაბამისად , რომელიც განკუთვნილი არ იყო გარე მომხმარებლებისთვის. კომპანიის მიერ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება პირველად მომზადებულია მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

4.2 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და

არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება .

4.3 ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4.4 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით)იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი,თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

4.5სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.6 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 8-დან 12 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

1. სარტანსპორტო საშუალებები 10-12
2. კომპიუტერული ტექნიკა 10
3. მანქანა დანადგარები და ოფისის აღჭურვილობა 8-10 წელი
4. ავეჯი და სხვა 8-10 წელი

4.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

4.8 საკაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან სარმომობილო ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.9 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

4.10 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოებისარადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.11 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. საქმიანობის შედეგები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

#	დასახელება	2022	2021
1	პროდუქციის გაყიდვა	2 665 669	2 291 332
	სულ ამონაგები:	2 665 669	2 291 332

პროდუქციის გაყიდვა მოიცავს მხოლოდ ძირითადი საქონლის რეალიზაციიდან ამონაგებს, რომელიც შეადგენს 2665669 ლარს. სულ 2022 წლის ამონაგებმა შეადგინა 2665669 ლარი. (შენიშვნა #1)

#	დასახელება	2022	2021
1	საწყისი პროდუქციის მარაგები	652 179	490 993
2	მარაგების შესყიდვა	2 095 542	1 856 772
3	გადამუშავების დანახარჯი	2 20 680	1 695 586
	საბოლოო მარაგები	727 041	652 179

საწყისი მარაგები 652179 ლარი მოიცავს მხოლოდ ძირითადი პროდუქციის ნაშთს, შესყიდული მარაგები ძირითად პროდუქციაზე არის 1770448 ლარი, გადამუშავების დანახარჯი, ანუ თვითღირებულება ძირითად პროდუქციაზე არის 1695586 ლარი და საბოლოოდ წლის ბოლოსთვის პროდუქციის მარაგების ნაშთმა შეადგინა 727041 ლარი. (შენიშვნა #2)

#	დასახელება	2022	2021
1	სულ ამონაგები	2 665 669	2 291 332
2	პროდუქციის თვითღირებულება	(2 020 680)	(1 695 586)
	საერთო მოგება	644 989	595 746

სულ ამონაგებმა შეადგინა 2665669 ლარი. პროდუქციის თვითღირებულებამ 2020680 ლარი, ხოლო საერთო მოგებამ შესაბამისად შეადგინა 644989 ლარი. (შენიშვნა #3)

#	დასახელება	2022	2021
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	64 170	33 717
2	საპენსიო დანარიცხი	717	531
3	საკომუნიკაციო	613	437
4	საკონსულტაციო	1 000	1 500
5	კომუნალური	7 121	4 835
6	საგადასახადო ხარჯი (ქონება)	10 266	1 020
7	ცვეთა და ამორტიზაცია	400	-
8	საოფისე, საკანცელარიო	2 774	595
9	მივლინება	2 756	-
10	დაცვა	1 614	1 614
11	ბანკის მომსახურება	1 350	321
	სულ ადმინისტრაციული ხარჯი	92 781	43 695

ადმინისტრაციის ხელფასმა შეადგინა 64170 ლარი, საპენსიო დანარიცხმა 717 ლარი, საკომუნიკაციო 613 ლარი, საკონსულტაციო მომსახურებამ 1000 ლარი, კომუნალური 7121 ლარი, ქონების გადასახადის ხარჯმა 10266 ლარი, ცვეთა და ამორტიზაციამ 400 ლარი, საოფისე-საკანცელარიო 2774 ლარი, მივლინება 2756 ლარი. დაცვა 1614 ლარი, საბანკო მომსახურება 1350 ლარი. მთლიანმა ადმინისტრაციულმა ხარჯმა შესაბამისად შეადგინა 92781 ლარი. (შენიშვნა #4)

#	დასახელება	2022	2021
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	130 606	80 460
2	საპენსიო დანარიცხი	1 945	1 176
3	ტრანსპორტირება	2 860	500
4	საიჯარო ქირა	22 500	22 500
5	ცვეთა და ამორტიზაცია	3 000	6 015
6	სხვა საწარმო	11 521	-
	სულ საოპერაციო ხარჯი	172 432	110 651

ტექნიკური პერსონალის ხელფასმა შეადგინა 130606ლარი, საპენსიო დანარიცხმა 1945 ლარი, ტრანსპორტირების ხარჯმა 2860ლარი, საიჯარო ქირაზე ხარჯმა 22500 ლარი, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იჯარა არის ჩვეულებრივი ანუ მიმდინარე იჯარა და არ არის ფინანსური.ცვეთა- ამორტიზაციამ 3000 ლარი და სხვა საწარმოო ხარჯი 11521 ლარი. ამრიგად მთლიანმა ძირითადმა დანახარჯმა ჯამში შეადგინა 172432 ლარი.(შენიშვნა #5)

#	დასახელება	2022	2021
1	სესხის აფასებიდან შემოსავალი	12 975	-
2	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10 100	-
	მთლიანი არასაოპერაციო შემოსავალი	23 075	-

სესხის აფასებიდან შემოსავალმა შეადგინა 12975 ლარი, სხვა არასაოპერაციოშემოსავალმა შეადგინა 10100 ლარი. მთლიანმა არასაოპერაციო შემოსავლებმა 2022 წლისათვის შეადგინა 23075 ლარი.(შენიშვნა. #6)

#	დასახელება	2022	2021
1	კონვერტაცია	15 112	-
2	დანაკლისი	4 376	-
3	საგადასახადო ხარჯი	2 950	-
4	საპროცენტო	31 912	748
5	სესხის გადაფასების	38 762	-
6	საკურსო	1 277	-
	მთლიანი არასაოპერაციო ხარჯი	94 389	748

მთლიანმა არასაოპერაციო ხარჯებმა 2022 წლისათვის შეადგინა 94389 ლარი. (შენიშვნა #7)

#	დასახელება	2022	2021
1	მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	308 462	440 652
2	მოგების გადასახადი	(24 036)	(20 201)
3	მოგება/(ზარალი)	284 426	420 451
	მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	284 426	420 451

მთლიანი შემოსავლებისდა დანახარჯების შეპირისპირებისას მიღებული იქნა მოგება308462 ლარი, რომელსაც გააკლდება მოგების გადასახადის ხარჯი 24036 ლარი და დარჩება წმინდა მოგების სახით 284426 ლარი, რომელიც საბოლოო ჯამში გადატანილი იქნა 2022 წლის გაუნაწილებელ მოგებაში. (შენიშვნა #8)

#	დასახელება	2022	2021
1	საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	630 124	324 147
2	სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	284 426	420 451
3	კაპიტალის სხვა ცვლილებები	(120 526)	(114 474)
4	კორექტირება	(110 722)	
	საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	683 302	630 124

საკუთარი კატალი წლის დასაწყისში იყო 630124 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 284426 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე 120526 ლარით, კორექტირებით 110722 ლარით და 2022 წლის ბოლოსათვის შეადგინა 683302 ლარი. (შენიშვნა #9)

5.2 ფინანსური მდგომარეობა 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2022	2021
1	ფული სალაროში ლარში	12 185	10 151
2	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში ლარში	38 184	18 508
3	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	267 095	114 005
	სულ ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები	317 464	142 664

ფული და ფულის ელვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში, სალარო მეურნეობაში და ფული გზაში. კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. 2022 წელს ხორციელდებოდა საბანკო ტრანზაქციები ორივე ვალუტაში მუდმივად. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ექვივალენტებზე იყო 142664 ლარი, წლის განმავლობაში ცვლილების შედეგად ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 317464 ლარი. (შენიშვნა #10)

სავაჭრო მოთხოვნები 2022 წლის დასაწყისისთვის იყო 161589 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 3146797 ლარის, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად 3054642 ლარი და დარჩა მისაღები 253744 ლარი. აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში განხორციელდა საექვო მოთხოვნებზე ანარიცხების შექმნა და კორექტირების შეტანა აღარ გახდა საჭირო. (შენიშვნა #11)

მარაგები კომპანიაში მოიცავს გასაყიდად შეძენილ მზა პროდუქციას. 2022 წლის დასაწყისისათვის ნაშთი შეადგენდა 652179 ლარს, წლის განმავლობაში შემოვიდა სულ 2122831 ლარის პროდუქცია, წლის განმავლობაში მთლიანად გავიდა 2047969 ლარის მზა პროდუქცია და ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 727041 ლარი, რომელიც მთლიანად მზა პროდუქციის ნაშთია. (შენიშვნა #12)

დასახელება	მიწა	დაუმთ.მშ ენ	მანქ.დანა	ოფის.ა ღჭ	ავეჯი	სატრანსპ	არამატერ	სულ
ნაშთი 31.12.2021	458 600	203 489		4 685	12 055			678 829
შემოსვლა		1 475 036	1 135	153 947	31 575	32 717	8 000	1 702 410
ცვეთა	-	-	-	892	2 108		400	3 400
ნაშთი 31.12.2022	458 600	1 678 525	1 135	157 740	41 522	32 717	7 600	2 377 839

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ძირითადად მიწით და დაუმთავრებელი მშენებლობით, ასევე მანქანა დანადგარებით, ოფისის აღჭურვილობით, ავეჯით და სატრანსპორტო საშუალებებით. არამატერიალურ აქტივებში აღრიცხულია გაყიდვების სამუშაო პროგრამა. სულ ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ნაშთი წლის დასაწყისისთვის იყო 678829 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 1702410 ლარის ძირითადი საშუალება, ცვეთამ ჯამურად შეადგინა 3400 ლარი და 2022 წლის ბოლოსათვის ნაშთმა გრძელვადიან აქტივებზე შეადგინა 2377839 ლარი. (შენიშვნა #13)

სავაჭრო ვალდებულებები 2022 წლის დასაწყისში იყო 171193 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა 4762135 ლარი, გასტუმრებული იქნა 4719544 ლარი, ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 213784 ლარი. (შენიშვნა #14)

ვალდებულებები საგადასახადოს მიმართ 2022 წლის დასაწყისში იყო 14324 ლარი და წლის ბოლოსათვის დარჩა 39290 ლარი. (შენიშვნა #15)

გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოდგენილი არის გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებით. 2022 წლის საწყისი ნაშთი იყო 929338 ლარი, წლის ბოლოსათვის შეადგინა 2739712 ლარი. (შენიშვნა #16)

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის დასაწყისში იყო 630124 ლარი, წლის განმავლობაში დაემატა მოგების სახით 420451 ლარი, გაიცა დივიდენდები 120526 ლარის, დაკორექტირდა 110722 ლარი და წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 683302 ლარი. (შენიშვნა #17)

5.3 ფულადი სახსრების მოძრაობა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2022	2021
1	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	37 220	5 262
2	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	137 580	30 725
2	წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	174 800	35 987
3	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	142 664	106 677
4	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	317 464	142 664

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში იყო 142664 ლარი. წლის განმავლობაში ჯამურად საოპერაციო საქმიანობიდან არის ზრდა 37220 ლარი, ხოლო საინვესტიციო საქმიანობიდან ზრდა 137580 ლარი, შედეგად წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში შეადგენს 174800 ლარს. ფულის და ფულის ეკვივალენტებმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 317464 ლარი. (შენიშვნა #18)

დირექტორი:

გიორგი გოგელიძე